

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

17-18.07.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ცირკიძე - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტრენერი და კონსულტანტი; საბჭოს თავმჯდომარე;

ლაშა მკურნალიძე - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი; საბჭოს მდივანი;

მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი;

თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) პროგრამის კოორდინატორი;

პავლე თვალთაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი;

ზვიად მიმინოშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

სალომე შელია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

გიორგი ელისაშვილი - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

დავით ლიპარტელიანი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

გაბრიელ პოსოხოვი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

ზაზა დავითაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მძიებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. გულადი გულორდავა - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის დირექტორის მოადგილე;

2. კახაბერ წამალაძე - ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის დირექტორი;

3. გიორგი ჩავლეიშვილი - შპს - ლოგოსის დირექტორი;

4. გრიგოლ მურდულია - შპს - ლოგოსის სამეცნიერო ხელმძღვანელი;

5. თათია ზარქუა - შპს - ლოგოსის იურისტი;

6. ელზა ლეკვეიშვილი - შპს - ნ&ნ 2000-ის დირექტორი;
7. ნინო მიქაძე - შპს - ნ&ნ 2000-ის დირექტორის მოადგილე;
8. მაია ჩუბინიძე - შპს - ნ&ნ 2000-ის საინფორმაციო მენეჯერი;
9. მარინა მჭედლიშვილი - შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი;
10. თამარ ესიტაშვილი - შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
11. ხათუნა კიკალიშვილი - შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის დირექტორი;
12. თამაზ ნაცვლიშვილი - შპს - მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის დირექტორი;
13. დავით ბაბუღიშვილი - შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნინო ჟვანია - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:09 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ლოგოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - ნ&ნ 2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის დირექტორის მოადგილემ, გულადი გულორდავამ, საბჭოს ვერ წარუდგინა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭოს წევრის, ლაშა მკურნალიძის, განმარტებით, უფლებამოსილება შესაძლოა დადასტურებულიყო, მხოლოდ, ამონაწერით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ან უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობით. ამასთან, დასძინა, რომ რადგან დაწესებულების წარმომადგენელს არ ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ის, საკითხის განხილვისას, ვერ მიიღებდა მონაწილეობას, როგორც ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიის წარმომადგენელი, თუმცა მას შეეძლო, როგორც დაინტერესებულ პირს ჩართულიყო საბჭოს სხდომის მიმდინარებაში, საკითხის განხილვისას.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2013 წლის 10-11 ივლისს განხორციელდა ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში. ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმებულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

საქართველის საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზია მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, სოფელ კახათში. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, შეეძინათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, გიმნაზია განთავსებულია ორსართულიან კაპიტალურ შენობაში საერთო ფართობით 793,7 კვ.მ. გიმნაზიას ფლობს 140 ინდივიდუალურ მერხს, 7 კომპიუტერს, სათანადოდ აღჭურვილ ლაბორატორიას, ღია და დახურულ სპორტულ დარბაზებს და ყველა საჭირო პირობას დაწესებულების ფუნქციონირებისთვის.

დაწესებულებას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგნის კვალიფიციური სპეციალისტი. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ყველა პედაგოგი მაგისტრი ან/და მაგისტრთან გათანაბრებულია.

გადამოწმებისას დადგინდა, რომ სამივე სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი) აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში

გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, სთხოვა ექსპერტს დეტალურად ესაუბრა სკოლის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტს. ბიბლიოთეკაში იყო ყველა სავალდებულო ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა ბიბლიოთეკაში ელექტრონული კატალოგი.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკას არ გააჩნდა ელექტრონული კატალოგი, თუმცა არსებობდა ქაღალდის კატალოგი.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილება შესაძლებელია ელექტრონული კატალოგის არსებობის გარეშე, სასურველია, რომ დაწესებულებას გააჩნდეს ელექტრონული კატალოგი. ამასთან, მან განმარტა, რომ სასურველია, სამომავლოდ გაჩნდეს ბიბლიოთეკაში წიგნების გამოყენების სტატისტიკის ასახვის შესაძლებლობა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა საბჭოს წევრის მოსაზრებას. ამასთან, თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით ექსპერტს, განემარტა რას გულისხმობდა უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება და რა ვადით იყო იგი დადებული.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიას ფართი გადაცემული ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოსგან თხოვების ფორმით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 15 წელი.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ რა მექანიზმები იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ დაწესებულებაში მომხდარიყო პედაგოგებისათვის შინაგანაწესის გაცნობის უზრუნველყოფა.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესი, ზოგადად, იყო საჯარო დოკუმენტი და მისი გაცნობის საშუალება გააჩნდა ნებისმიერ პირს. ამასთან, უშუალოდ პედაგოგების მონაწილეობა გამოიხატა იმაში, რომ შინაგანაწესის დამტკიცება მოხდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, გააჩნდა თუ არა სკოლას გენერატორი, რა სიმძლავრის იყო იგი ან/და ჰქონდა თუ არა სკოლას შემოს მარაგი.

დაწესებულების არაუფლებამოსილმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა გენერატორი, რომელიც სიმძლავრით საკმარისი იყო სკოლისათვის.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, მოესენებინა საბჭოსათვის დამატებითი ინფორმაცია, მისი შეფასებით, მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილი იყო 2013-2014 წლისათვის, შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას და დიდწილად ემთხვეოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას; არსებობდა, მხოლოდ, მცირე და დასაშვები გადახვევები ეროვნული სასწავლო გეგმიდან; კერძოდ, სკოლას ორი უცხო ენის ნაცვლად, არჩეული ჰქონდა სამი უცხო ენა, ამასთან, სავალდებულო საგანთა კატეგორიაში დამატებული იყო საღმრთო რჯული (ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანი). სკოლას შექმნილი ჰქონდა საკუთარი სტანდარტი საღმრთო რჯულთან მიმართებით, კერძოდ, პირველიდან მე-12 კლასის ჩათვლით გაწერილი იყო თემატიკა, აუცილებელი მოთხოვნები კლასების მიხედვით და სხვა საჭირო ინფორმაცია.

ექსპერტის განცხადებით, ზემოაღნიშნულის გარდა, სკოლაში არ დაფიქსირდა ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განმასხვავებელი გარემოებები. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში, ასევე, დაკმაყოფილებული იყო სსსმ მოსწავლეების სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული სტანდარტი.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ, აღნიშნა, რომ პოზიტიურად უნდა შეფასდეს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის არსებობა და სასწავლო გარემოს ადაპტაცია, მაგრამ ასევე, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მომზადებულია სკოლის ადამიანური რესურსი მსგავსი მოსწავლეების მისაღებად.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ ითვალისწინებს ადამიანური რესურსის ამგვარი კვალიფიკაციის დადსტურების მოთხოვნას, შესაბამისად, მას გაუჭირდებოდა კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა; თუმცა, მას შეეძლო აღენიშნა, რომ სკოლის ადამიანურის რესურსი აკმაყოფილებდა სტანდარტს, ხოლო სკოლაში სსსმ მოსწავლეთა მიღების შემთხვევაში, მისი ინფორმაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფდა მულტიდისციპლინარული ჯგუფის შექმნასა და სკოლაში შესაბამისი კადრის მივლინებას.

დაწესებულების არაუფლებამოსილმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა პედაგოგი, რომელსაც ჰქონდა სსსმ პირებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაზუსტება, იმასთან დაკავშირებით, თუ სამართლებრივი ურთიერთობის რა ფორმით ფლობდა სკოლა არსებულ ქონებას.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსზე გაფორმებული იყო თხოვნების ხელშეკრულება.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა საღმრთო რჯულის გარდა, სხვა რაიმე სასულიერო სასწავლებლის სპეციფიკასთან დაკავშირებული საგანი ან ტარდებოდა თუ არა საწრეო მეცადინეებები; ასევე, შეინიშნებოდა თუ არა სკოლაში საღმრთო რჯულის სინქრონიზაცია/სინქრონიზაციის მცდელობა სხვა საგნებთან მიმართებით.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ სკოლა გეგმავდა საწრეო მეცადინეობების ჩატარებას; რაც შეეხება სინქრონიზაციის მცდელობას, ამის ნიშნები ექსპერტთა ვიზიტის დროს არ გამოკვეთილა, ექსპერტებს კი, ავტორიზაციის სტანდარტის სპეციფიკიდან გამომდინარე არ უწარმოებიათ აღნიშნული საკითხის ირგვლივ კვლევა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, სთხოვა ექსპერტს აზრის დაფიქსირება ადამიანურ რესურსთან მიმართებით.

ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას ყველა საგანში ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი; ადამიანური რესურსი, ზოგადად, მოიცავდა 32 თანამშრომელს, აქედან, 24 - პედაგოგს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ჟვანიამ, დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰყავდა არც ერთი სერთიფიცირებული მასწავლებელი.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, თუ რამდენი ჭადრაკის დაფა გააჩნდა სკოლას.

ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სპორტის სახეობად არჩეული ჰქონდა ფეხბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი, შესაბამისად, სკოლას გააჩნდა აღნიშნული სპორტის სახეობების განხორციელების რესურსი.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, რამდენად კვალიფიციური იყო ჭადრაკის პედაგოგი.

ექსპერტმა, ნინო ჟვანიამ, აღნიშნა, რომ ჭადრაკის პედაგოგს გავლილი ჰქონდა ჭადრაკის სწავლების კურსები, რაც დასტურდებოდა დოკუმენტალურად, რაც შეეხება თანრიგს, მას არ გააჩნდა თანრიგი.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, 2015 წლამდე სერთიფიცირება არ არის სავალდებულო, ამ ეტაპზე, მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაძლებელია დადასტურდეს წლების მანძილზე სამუშაო გამოცდილებით.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა დაწესებულებაში ხელშეკრულება ევაკუაციის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ევაკუაციის გეგმის მომზადების თაობაზე.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს აკმაყოფილებდა თუ არა სკოლის შენობას ორი ცეცხლმაქრი.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა განთავსებული იყო ორ სართულზე და თითოეულ სართულზე არსებობდა თითო ცეცხლმაქრი.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა გათვალისწინებული მასწავლებელთა პროფესიული ზრდის, განვითარებისა და წახალისების საშუალებები.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დასახელებული ღონისძიებები ასახული იყო სკოლის როგორც ერთწლიან, ისე - ექვსწლიან განვითარების გეგმაში; აღნიშნული აქტივობები უნდა განხორციელებულიყო საპატრიარქოს ხელშეწყობით, რისთვისაც საპატრიარქო გეგმავდა გარკვეული ფინანსური სახსრების გაღებას.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ დამატებითი შეკითხვები ექსპერტთან.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ აღარ ჰქონდათ საკითხის ირგვლივ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულებისათვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, თავად, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას.

ლაშა მკურნალიძის განმარტებით, სკოლას გააჩნდა 140 მერხი და 7 კომპიუტერი, შესაბამისად, საბჭოს შეეძლო თანხმობა განცხადებინა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის მაქსიმუმ 140-ით განსაზღვრაზე.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 419987474) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

2. ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლაში ვიზიტის განმხორციელებელი საექსპერტო ჯგუფის წევრმა, ნინო ჟვანიაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავდა საშუალო საფეხურთან ერთად, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებამ მოიპოვა ავტორიზაციის გზით (22.03.2012 წ. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №120), საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასაც.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 20 მაისის №158 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, 2013 წლის 23 და 24 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომელითაც დადგინდა შემდეგი:

ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის, 1-ლი ჩიხის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 01.14.14.005.111; ფაქტობრივი მისამართია ნინო რამიშვილის ქ. №5). აღნიშნულ მისამართზე, სკოლა ფლობს სამსართულიან შენობას საერთო ფართობით 335.61 კვ.მ. 2011 წლის პირველ სექტემბერს იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია. აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ამდენად, შენობის ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

შენობაში არის ექვსი საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია 50 ინდივიდუალური მერხით, შესაბამისი რაოდენობის სკამებით და 7 სასკოლო დაფით. სკოლა ფლობს 2 პროექტორს, სხვადასხვა სახის სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებს და რუკებს.

რამდენადაც სკოლას არ აქვს საკუთარი სპორტული დარბაზი, სკოლას სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად დადებული აქვს ხელშეკრულება შპს - „პეგასის“ საცურაო აუზისა და შპს - „სითი სპორტის“ კუთვნილ კორტების ხელმძღვანელობასთან აუზითა და კორტებით შეთანხმებული გრაფიკით სარგებლობის შესახებ.

სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც შექმნილია „ინსტ-ჯორჯიასგან“ გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება №5/1-17-12 (13.02.2011) და მიღება ჩაბარების აქტი (04.05.2012), რომლის მიხედვითაც, სკოლამ მიიღო 208 დასახელების საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

სკოლაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველ წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, დაცულია სისუფთავე; მოწყობილია სსსმ

მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. სკოლას ექსპლოატაციაში აქვს გენერატორი და ყველა საკლასო ოთახში დამონტაჟებულია გათბობისა და კონდიციონერის ელექტრონული მოწყობილობები.

სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით. სკოლა ფლობს 609 წიგნი. დაცულია ბიბლიოთეკის წარმოების წესი.

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის შენობის შესასვლელში, ასევე, სამივე სართულის კიბეებზე არის გადასატანი პანდუსები. სსსმ მოსწავლეთათვის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.

სკოლა ფლობს 10 კომპიუტერს, 8 მათგანი ნაყიდაა, 2 - ნაჩუქარი. ყველა მათგანს აქვს ინტერნეტთან წვდომა. დაწესებულებას ინტერნეტ მომსახურებაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ა(ა)იპ - საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - „გრენასთან“.

დაწესებულების ვებგვერდი www.ceschool.ge ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით შენობის სამივე სართულზე დამონტაჟებულია 3 ცეცხლმაქრი და სავაკუაციო გეგმები და მაჩვენებლები, გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „ინტერსექიურიტი-ჯორჯიასთან“ ტექნიკური საშუალებებით დაცვასა და კონტროლის შესახებ, შესაბამისად, ყველა ოთახში დამონტაჟებულია სახანძრო და სიგნალიზაციის დეტექტორები. სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექიმთან, სკოლას შეძენილი აქვს პირველადი დახმარების მედიკამენტები და აქვს ექიმის საქმიანობის აღმწერი დებულება. წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, მოვალეობები შეთავსებული აქვს ტექნიკურ მენეჯერს.

დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შპს - „აო-ეს-ეი სერვისისგან“ შეძენილი და დამონტაჟებული აქვს 5 უსაფრთხოების კამერა. აქედან 2 დამონტაჟებულია შენობის გარე პერიმეტრზე, სამი - შიდა პერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა შეესაბამება კანონით დადგენილ ნორმებს.

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

კრეატიული განათლების სკოლაში შექმნილია 3 საგნობრივი კათედრა: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და სპორტული და საკლუბო მუშაობის კათედრები. შემუშავებულია კათედრების დებულებები. გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა სავალდებულო საგნის სწავლება. შემუშავებულია ყველა კლასისა და საგნის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სასწავლო პროგრამები. კათედრებზე წმოდგენილია სასწავლო საგნების სილაბუსები და სასწავლო გეგმები კონკრეტული კლასების მიხედვით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას შემდეგ საგნებში: მეწარმეობის საფუძვლები, კინოხელოვნება, მესამე უცხო ენა.

სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სსსმ მოსწავლისათვის, თუმცა, ამ ეტაპზე სკოლას ასეთი საჭიროების მოსწავლე არ ჰყავს.

სკოლის პოლიტიკის თანახმად, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, ისწავლონ მუსიკის, ფილმის შექმნა. დაეუფლონ კლავიშებიან და სიმებიან საკრავებს. თუ ამის მონაცემები აქვთ, თავდაპირველად სამოყვარულო და სურვილის შემთხვევაში - პროფესიულ დონეზე. ასევე, გათვალისწინებულია მცირე სასტაჟირო პროგრამებიც, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს პრაქტიკულად გამოსცადონ თავიანთი ცოდნა და ნიჭი. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ყველა დამატებითი საგნის პროგრამა.

წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სკოლა უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. ამ მიზნით, დაგეგმილია სასკოლო საზოგადოების ინფორმირება საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე სიახლეების შესახებ, პროექტების პრეზენტაციები.

შექმნილია ელექტრონული ჟურნალი, რომელზეც მშობელსაც მიუწვდება ხელი პირადი უსაფრთხოების კოდის მეშვეობით და სადაც მას, მხოლოდ, მისი შვილის მონაცემების ნახვა შეუძლია. მშობლის ინფორმირება ხდება ასევე, ვებგვერდის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კრებების ორგანიზებით, პირადი შეხვედრებით.

მოსწავლეთა რეესტრის მიხედვით, სკოლაში სწავლობს 13 მოსწავლე. სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 13 საგნის 19 მასწავლებელი. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. სკოლაში არსებობს თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. პედაგოგებისთვის, ტარდება შიდა სასკოლო სემინარები და ტრენინგები, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და შემდგომ განვითარებას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, უწყვეტ ზრუნვას პროფესიულ ზრდაზე.

სკოლას გააჩნია წესდება, შინაგანაწესი, დებულება, საქმის წარმოების წესი, რომლებიც ასახავენ სასკოლო ცხოვრების რეგულაციებს, სკოლის სტრუქტურას, სასკოლო საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. სკოლას შექმნილი აქვს განვითარების ერთწლიანი (2013-2014 წლები) და გრძელვადიანი (2011-2017 წლები) გეგმები, რომლებშიც ასახულია ის ამოცანები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მისიაზე, კერძოდ, მოიყვანა ციტატა მისიიდან - „განვავითაროთ ისინი გონებრივი, მორალური, სოციალური და კრეატიული უნარების მქონე ადამიანებად“ და აღნიშნა, რომ ფორმულირება - „მორალური უნარები“ იყო არასწორი.

ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად, გაირკვა, რომ დაწესებულება მისიით განსაზღვრული ამ მიზნის მიღწევას უზრუნველყოფდა საგნით „მეწარმეობის საფუძვლები“.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“, მართალია, მისი სათაურით აშკარად არ გამოხატავდა, მაგრამ ითვალისწინებდა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა მსგავსი ტიპის ღირებულებებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას ჰყავდა მრავალეთნიკური კონტიგენტი.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა, აღნიშნა, რომ საბჭოს შენიშვნა ეხებოდა ფორმულირებას და არა - შინაარსს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროს ექსპერტებს არ აქვთ შინაარსში შესვლის უფლება; ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლისაგან მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხები, მისიის ფორმულირების შეცვლა კი, ცდებოდა ექსპერტთა უფლებამოსილების ფარგლებს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისიის შინაარსის ბუნდოვანების შემთხვევაში, შეუძლებელია იმის დადგენა აკმაყოფილებს თუ არა მისია სტანდარტს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ მისიის შინაარსი ექსპერტთა ჯგუფისათვის გასაგები იყო, ხოლო მისია აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, გამომდინარეობდა თუ არა სასწავლო გეგმა სკოლის მისიიდან. ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, წაიკითხა ამონარიდი ექსპერტთა დასკვნიდან: „სკოლის პოლიტიკის თანახმად, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში, ისწავლონ მუსიკის, ფილმის შექმნა. დაეუფლონ კლავიშებიან და სიმებიან საკრავებს“ და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა მუსიკალური სტუდია, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი მატერიალური რესურსით და საშუალებას აძლევდა ნიჭიერ ბავშვებს, დაუფლებოდნენ მუსიკის შექმნის უნარებს.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, აღნიშნული გულისხმობდა ფორმალურ განათლებას თუ არაფორმალურ განათლებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო არაფორმალურ განათლებაზე, გაკვეთილებში კი, მსგავსი ელემენტები ჩადებული იყო მინიმალური დოზით.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ვრცელდებოდა თუ არა მისი განმარტება ფილმის შექმნაზეც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა ფილმის შექმნისათვის საჭირო, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ისე - ადამიანური რესურსი.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა, განაცხადა, რომ არაფორმალური განათლება ხელს უწყობს ფორმალურ განათლებასაც. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ევალეობდა თუ არა დამრიგებელს მშობლისათვის ნიშნის შეტყობინება.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ აღნიშნული ვალდებულება ჩადებული იყო როგორც დებულებაში, ასევე - შინაგანაწესში.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, შეიცვალა თუ არა დაწესებულების მისია, პირველ ჯერზე ავტორიზაციის გავლის შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის მისია არ შეცვლილა.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, დააზუსტა მესამე უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული გარემოება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა სამომავლოდ გეგმავდა გერმანული ენის შეთავაზებას.

საბჭოს წევრის, ნატო ქობულაძის, განცხადებით, მრავალეთნიკური კონტინგენტის ყოლა მისასალმებელი ფაქტი იყო. მან დააზუსტა, იყო თუ არა სკოლაში ინკლუზიურ განათლებაზე მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, რა უნარებს გამოუმუშავდა იგი მოსწავლეს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში იყო ადაპტირებული გარემო, ამდენად, მატერიალური რესურსით სკოლა უზრუნველყოფდა ინკლუზიური განათლების განხორციელებას. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ სკოლა ადაპტაციის საჭიროებას ვერ ხედავდა.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ, დააზუსტა, რომ სტანდარტი მოითხოვდა პროგრამის ინდივიდუალურ მორგების შესაძლებლობასაც და აუცილებლობის შემთხვევაში - საჭიროებას.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, განცხადებით, სკოლას ნამდვილად ჰქონდა რესურსი სსსმ მოსწავლეებს მომსახურებოდა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა არ დამდგარა აღნიშნული საჭიროების წინაშე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა დასკვნის 1.6 პუნქტში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოება.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები ხშირად ხორციელდებოდა. სკოლა თანადაფინანსებით მოსაწვლეებს აგზავნიდა დიდ ბრიტანეთში საზაფხულო სკოლაში, ხდებოდა ჯილდოების გადაცემა, შესაბამისად, მოსწავლეებს უფასდებოდათ შრომა.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძე, წარმომადგენელს სთხოვა განემარტა კათედრებისა და მასწავლებლების შეფასებისა და რეიტინგის შემქნის წესი და პროცედურები.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხდებოდა წლის ბოლოს. შეფასების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა კვლევითი სამუშაო ანუ დამატებითი მუშაობა, მაგალითად, პროექტის შედგენა.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, განცხადებით, რეიტინგი დგებოდა ჩართულობის, ჯგუფში მუშაობის უნარის, დასწრებისა და სხვ. ინდიკატორების მეშვეობით.

ექსპერტის, ნინო ჟვანიას, განცხადებით, სკოლაში წარმოებდა მასწავლებლების შეფასება და თვითშეფასება. სკოლაში იყო კითხვარები, ურთიერთდასწრების ანგარიშები და ა.შ.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, დააზუსტა, აკმაყოფილებდა თუ არა სკოლას აღნიშნული ფართი და რამდენი იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ მოსწავლეების რაოდენობა გაზრდილიყო სკოლაში.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში სწავლა საკმაოდ ძვირი იყო და 20 მოსწავლე საკმარისი იყო იმისათვის, რომ დაწესებულებას სათანადო დონეზე ემუშავა კერძოდ დაეფარა ყველა ხარჯი. მისი განცხადებით, სკოლის ფართი საკმარისი იყო 50 მოსწავლისათვის. სამომავლოდ, თუ საჭიროებას დაინახავდა სკოლა, დაიმატებდა მატერიალურ რესურსს.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე, დაინტერესდა, თუ რამდენი წლისთ იყო იჯარა გაფორმებული ფართზე, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ იჯარა იყო 10 წლის ვადით.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი, დაინტერესდა თუ რატომ ჰქონდა ბიბლიოთეკის შეთავსებული კიდეც სხვა ფუნქცია. მისი აზრით, ბიბლიოთეკარი დამოუკიდებელი უნდა იყოს, რადგან მისი საქმე საკმაოდ მოცულობითი იყო.

სკოლის დირექტორის განცხადებით, პატარა სკოლის პირობებში, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ითავსებდა ერთი პირი ორ სხვადასხვა ფუნქციას და ამით, ისინი სტანდარტს არ არღვევდნენ. მისი განცხადებით, ბიბლიოთეკა ღია იყო სამუშაო საათებში და მოსწავლეთა მიერ აქტიურად გამოიყენებოდა.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე, დაინტერესდა, რა მანძილით იყო დაშორებული სკოლის შენობიდან სპორტული დარბაზი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლიდან ჩოგბურთის კორტები დაშორებული იყო მაქსიმუმ 1 კილომეტრის მანძილზე. სპორტის გაკვეთილები ყოველთვის ბოლო იყო ცხრილში. სკოლა გადაადგილებას უზრუნველყოფდა ტრანსპორტის მეშვეობით. მისი განმარტებით, სკოლაში ჯადრავს ასწავლიდა გიორგი ხომერიკი, რომლის კვალიფიციურობაში ეჭვის შეტანა არ შეიძებოდა, ხოლო ცურვისა და ჩოგბურთის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლას დაქირავებული ჰყავდა მწვრთნელები, რომლებსაც ჰქონდათ ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება და ამ მიზეზითაც იქნენ ისინი შერჩეულნი.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი, დაინტერესდა დასკვნის 3.5 პუნქტით დააზუსტა არსებობდა თუ არა პროფესიული განვითარებისათვის რაიმე ბაზა, რა დრო ხმარდებოდა აღნიშნულს და წარმოებდა თუ არა მონიტორინგი.

ექსპერტის, ნინო ჟვანიას, განცხადებით, სკოლის დირექტორი თავად იყო მასწავლებელთა პროფესიული სახლის ტრენერი, აგრეთვე, მისი განცხადებით, სკოლის ადამიანურ რესურსს ჰქონდა აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, დააზუსტა ვისი შექმნილი იყო 2.7 პუნქტში აღწერილი დოკუმენტაცია და რა განსხვავებულ ურთიერთობებს არეგულირებდნენ ისინი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დოკუმენტები ან განხილული იყო პედაგოგიურ საბჭოზე ან/და დამტკიცებული იყო მის, როგორც სკოლის დირექტორის მიერ.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტს დოკუმენტაციის სიღრმეებში შესვლა არ მოეთხოვებოდა. ექსპერტი აღწერდა არსებობდა თუ არა დოკუმენტი, დარეგულირებული იყო თუ არა კონკრეტული საკითხი. მისი განცხადებით, სხვაგვარი შეფასების გაკეთების უფლება ავტორიზაციის ექსპერტს არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, დააზუსტა, იყო თუ არა სწავლების პროცესში ყველა პედაგოგი ჩართული.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ყველა მასწავლებელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სასწავლო პროცესში. მისი განმარტებით, 8 მოსწავლეზე მეტი არ იყო კლასში.

საბჭოს წევრმა, პავლე თვალთაშვილმა, დააზუსტა რადგან დაწესებულება იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, თუ როგორ ხდებოდა მოგების გადანაწილება წლის ბოლოს.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოგება ნაწილდებოდა გუნდს შორის და ხდებოდა თანამშრომლების წახალისება და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 55-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვისას, საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, განუმარტა მხარეს, რომ რადგან სკოლა ფლობდა 50 ინდივიდუალურ მერხს, ამდენად, აღნიშნული მონაცემის გათვალისწინებით, სკოლას შეეძლო 50 მოსწავლის საგანმანათლებლო მომსახურება.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - კრეატიული განათლების სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404908230) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

3. შპს - ლოგოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - ლოგოსში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 21 ივნისის №199 ბრძანების საფუძველზე, ქ. თბილისში, შპს - „ლოგოსში“ - 2013 წლის 26 და 27 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

შპს - ლოგოსი მდებარეობს ქ. თბილისში, ელ. ჩერქეზიშვილის ქ. №4-ში. სკოლა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში), ფლობს შენობის ნულოვან, პირველ და მეორე სართულს საერთო ფართობით 439,22 კვ.მ. და 499 კვ.მ. მიწის ნაკვეთს.

შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სამივე სართულის (ნული, პირველი და მეორე) კიბეებზე არის ასაკვეცი ხის პანდუსები. სსსმ მოსწავლეთათვის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები.

შენობაში არის ექვსი საკლასო ოთახი და ერთი ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია 115 ინდივიდუალური მერხით, შესაბამისი რაოდენობის სკამებით და 10 სასკოლო დაფით. სკოლა ფლობს 2 პროექტორს და სასწავლო პროცესის დამხმარე სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებს, რუკებს.

სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი 208 დასახელების საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არის საინვენტარო წიგნი, რომელშიც დაფიქსირებულია 481 წიგნი, მათ შორის ყველა კლასის ყველა საგნის სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, წიგნები დალაგებულია სისტემური კატალოგის მიხედვით, გაფორმებულია ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება.

სკოლა ფლობს 14 კომპიუტერს, ყველა მათგანს აქვს ინტერნეტთან წვდომა. კომპიუტერებიდან 5 განთავსებულია ბიბლიოთეკაში დაწესებულებას ინტერნეტ მომსახურებაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ს.ს. - „სილქნეტთან“.

სკოლას არ აქვს დიდი სპორტული დარბაზი და ამიტომ სკოლის დირექციას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს - „პეგასის“ საცურაო აუზთან, და შპს - „საკალათბურთო კლუბ აკადემიას“ კუთვნილ სპორტულ დარბაზთან, სკოლას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები აუზითა და სპორტულ დარბაზის სარგებლობაზე, შეთანხმებული გრაფიკით სარგებლობის შესახებ.

სკოლის ვებგვერდია <http://schoollogos.ge> ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. წარმოდგენილია ჰოსტინგის შესყიდვისა და დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სკოლაში არის ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სველ წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე თითო, დაცულია სისუფთავე; ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და კონდენციონერები (ზამთარ/ზაფხულის ტიპის).

პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით შენობაში დამონტაჟებულია 9 უსაფრთხოების კამერა. აქედან 2 დამონტაჟებულია შენობის გარე პერიმეტრზე - ქუჩაში, ორი - შიდა პერიმეტრზე - ეზოში, ხოლო 5 შენობაში. კამერები შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სამივე სართულზე დამონტაჟებულია 5 ცეცხლმაქრი, (ერთი მათგანი საქვამშია). გამოკრულია 3 საევაკუაციო გეგმა.

სკოლა „ლოგოსი“ ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს ფუნქციონირებას. შესაბამისად შექმნილია 2013-2014 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ამასთანავე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას. ამ საგანს მე-9 კლასში დამატებული აქვს 2 საათი, მე-10, მე-11 კლასებში 3, ხოლო მე-12 კლასში 1 საათი. მე-11 კლასში ფიზიკას და ბიოლოგიას, ხოლო მე-12 კლასში ქართულს დამატებული აქვს 1 საათი.

მოსწავლეებს, რომელთაც საზღვარგარეთ სურთ სწავლის გაგრძელება სკოლა სთავაზობს SAT და TOEFL-ის ტესტებისთვის მომზადებას X, XI და XII კლასებში. სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს College Counseling **კოლეჯ კანსელინგ** - ის კურსს. ეს კურსი მოსწავლეებს დაეხმარება ევროპასა და ამერიკაში უნივერსიტეტის შერჩევაში, დაფინანსების მოპოვებაში, სასურველ უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარებასა და შესაბამისი განაცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება-გადაგზავნაში.

XII კლასის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს დამატებით სავალდებულო დისციპლინას „აზროვნების ლაბორატორია“ - ვერბალური უნარები. დისციპლინის მიზანია მოსწავლეებში შემეცნებით პროცესებზე ყურადღების გამახვილება და მათი გამოყენების უნარების გავარჯიშება. მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ გაწევრიანდნენ სხვადასხვა კლუბებში და მონაწილეობა მიიღონ საინტერესო ღონისძიებებში.

სკოლის სასწავლო გეგმით არჩეულია სპორტის სამი სახეობა: მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა და კალათბურთი. მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები ჩატარდება სკოლის ეზოში, ცურვა - შპს „პეგასის“ საცურაო აუზში, ხოლო კალათბურთი შპს „საკალათბურთო კლუბი აკადემიას“ კუთვნილ სპორტულ დარბაზში.

შპს „ლოგოსის“ სასწავლო გეგმიდან, მასწავლებელთა საგნობრივი პროგრამებიდან თუ მასწავლებელთა თემატური გეგმებიდან ჩანს, რომ სკოლა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს თითოეული მოსწავლის მოთხოვნები, მათ შორის ყველაზე ნიჭიერების, და ასევე მათი, ვისაც გააჩნია შესწავლის სირთულეები. შპს „ლოგოსი“ თავის მოსწავლეებს სთავაზობს ასევე შემდეგი სახის კლუბებსა და დამატებით ღონისძიებებს:

- სადისკუსიო კლუბი – კურსის გავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, ჯგუფში მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების, გარისკვის, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების გამომუშავებას.
- გია მურღულიას სალიტერატურო სკოლა;
- ფრანგული ენის კლუბი;
- გერმანული ენის კლუბი.

აღნიშნული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სასწავლო პროგრამები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ისგ-ს სქემა და მოსწავლის სასწავლო პროცესში ინკლუზიის უზრუნველყოფის სტრატეგიები, მიდგომები და სპეციალური პროგრამა, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მასწავლებლები, ექიმი, ფსიქოლოგი, მშობელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ათქულიანია. გათვალისწინებულია ორივე ტიპის შეფასება (განმსაზღვრელი და განმავითარებელი). სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები და სქემები (დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის შეფასების სქემები და ა.შ.), რომელთა მეშვეობითაც მოხდება მოსწავლეთა მიღწევების განსაზღვრა.

მოსწავლის კლასიდან კლასში გადასაყვანად და საფეხურის დასაძლევად მინიმალურ ბარიერს წარმოადგენს 5.0 ქულა.

შპს - „ლოგოსში“ შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება. ამ დებულების თანახმად, მშობლები სისტემატურად გაეცნობიან შვილების აკადემიურ მოსწრებას ელექტრონული ჟურნალის, მშობელთა კრებებისა და ადმინისტრაციის წევრებთან და პედაგოგებთან წინასწარ შეთანხმებული ინდივიდუალური შეხვედრების მეშვეობით. მშობლის ინფორმირება მოხდება ასევე ვებგვერდის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

შპს - „ლოგოსს“ შემუშავებული აქვს მშობელთა კითხვარი, რომლითაც შესაძლებელია განისაზღვროს თუ რა დონეზე სურს მშობელს ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლაში შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი: სასწავლო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგი, ხარისხზე ზრუნვა და მის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა აქტივობების ჩატარება, კათედრებზე მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგი, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება, ე.ს.გ.-ით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების ხარისხის განხილვა, კათედრის და მასწავლებლების საქმიანობის თვითშეფასება.

დოკუმენტის თანახმად, სასწავლო გეგმის შეფასება მოხდება საგნის მასწავლებლებისა და კათედრის თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლის მეშვეობითაც მოხდება მოსწავლეთა, პედაგოგთა, მშობელთა გამოკითხვა. კითხვარების ანალიზი დამუშავდება ელექტრონულ ფაილში. შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები განიხილება პედაგოგთა და ადმინისტრაციის შეხვედრებზე, დაისახება პრობლემის გადაჭრის გზები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილება კათედრების რეგულარულ შეხვედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებს 28 პედაგოგი (22 საგნის პედაგოგი და 6 ადმინისტრაციის წარმომადგენელი). სკოლას მოემსახურება ექიმი და ფსიქოლოგი. ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 13-ს სკოლაში არის 6 სერთიფიცირებული პედაგოგი.

სკოლას შემუშავებული აქვს როგორც თანამშრომელთა თანამდებობაზე მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე, გათავისუფლების, წახალისების (მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, პრემია, ფულადი ჯილდო და სხვა) და სანქციების (გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური და ხელფასის დაქვითვა, სამსახურიდან გათავისუფლება) გამჭვირვალე სისტემა.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და კერძოდ, ამისთვის სკოლას აქვს განათლების ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ხელი შეუწყოს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას, ორგანიზება გაუწიოს პედაგოგთა ტრენინგების მომზადებას და ჩატარებას.

სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმები, სადაც პედაგოგის შეფასება ხდება ხუთი კომპონენტის მიხედვით (გაკვეთილის შეფასება, სასწავლო პროგრამის შეფასება, მასწავლებლის მიერ სსსმ მოსწავლის შეფასება, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შეფასება, მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეფასება).

სკოლაში ფუნქციონირებს კათედრები. დებულების მიხედვით კათედრის ერთ-ერთი ფუნქცია არის პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, საგნობრივი სილაბუსებით და თემატური გეგმებით, სკოლის შინაგანაწესით, შესაბამისი ხელშეკრულებებით, მასწავლებელთა პირადი საქმეებით, სკოლის განვითარების ერთწლიანი (2013-2014 წლები) და გრძელვადიანი (2013-2018 წლები) სამოქმედო გეგმებით, სასაქონლო ზედნადებებით და ვიზუალური დათვალიერებით.

შესაბამისად, სკოლა სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანტარტით მოთხოვნილ კრიტერიუმებს.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს დირექტორის მოადგილე, რომელიც ითავსებდა პარალელურად ექიმის ფუნქციებს, ფლობდა თუ არა შესაბამის კომპეტენციას.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დასახელებულ პიროვნებას გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, მაგიდის ჩოგბურთის ტრენერს გააჩნდა თუ არა შესაბამისი კვალიფიკაცია.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დასახელებულ პიროვნებას გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს სად ტარდებოდა ჩოგბურთის გაკვეთილები ზამთრის ან ქარიან პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თათია ზარქუამ, განაცხადა, რომ სკოლის პირველ სართულზე იყო საკმაო ფართი მაგიდის ჩოგბურთების განსათავსებლად.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაედასტურებინა დაწესებულების წარმომადგენლის განცხადება. ქეთევან ბოტკოველმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, წაიკითხა ამონარიდი ექსპერტთა დასკვნიდან: „სადისკუსიო კლუბის ფარგლებში წაიკითხება საგანი „ცხოვრებისეული უნარები“, რომლის მიზანია, მოსწავლეებს განუვითაროს ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნების წარმატებით გადაჭრის უნარები.“ ზვიად მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ ტერმინ „წაიკითხავს“ ნაცვლად, უმჯობესია გამოყენებული ყოფილიყო ტერმინი „ჩატარდება“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თათია ზარქუამ, განაცხადა, რომ დაწესებულებას გაიზიარებდა საბჭოს წევრის რეკომენდაციას.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული ჩანაწერთან დაკავშირებით - „საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში მოსწავლეთა მიღება მოხდება გამოცდებისა და გასაუბრების საფუძველზე.“

დაწესებულების წარმომადგენელმა, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ ჩანაწერი იყო ზუსტი და სკოლა, საკუთარი ინიციატივით, უზრუნველყოფდა მათემატიკაში, ქართულ ენაში, უცხოურ ენაში და უნარებში გამოცდების ჩატარებას. წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ უნარების ტესტი იყო სკოლის მიერ შემუშავებული, იგი იყო ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის განკუთვნილი ტესტის მსგავსი, თუმცა არა - იდენტური, რადგან აღნიშნული ტესტი ორიენტირებული იყო სხვა უნარების შემოწმებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გია მურღულიამ, განმარტა, რომ გამოცდები მიზნად ისახავდა, როგორც სკოლის, ისე მშობლის მიერ სასტარტო პირობების მკაფიოდ გააზრებას, რადგან შემდგომში თავიდან აეცილებინათ არასწორი მოლოდინები.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ახდენდა თუ არა აღნიშნული ტესტირება გავლენას მოსწავლის მიღება/არმიღებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გია მურღულიამ, განმარტა, რომ ტესტი ახდენდა გავლენას მოსწავლის მიღებაზე კონკურენციის არსებობის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თათია ზარქუამ, განაცხადა, რომ დაწესებულება გეგმავდა როგორც ნორმალური, ისე საუკეთესო აკადემიური მოსწავლის მქონე მოსწავლეთა მიღებას, შესაბამისად, სკოლას ესაჭიროებოდა შეფასება/დიფერენციაცია, რაც, ასევე, უკავშირდებოდა მისიით განსაზღვრული მიზნის მიღწევას.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს ლეგიტიმური იყო თუ არა ინგლისურ ენაში მოსწავლეების დონეებზე დაყოფა.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა მსგავს შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, მშობლის ინფორმირებულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინფორმაციის განთავსება ხდება ვებგვერდზე, ასევე, ინტერაქტიულობის ხარისხის გაზრდის მიზნით იგეგმება სკოლის ვებგვერდის განახლება.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, აღნიშნა, რომ ვებგვერდზე ინფორმაციის დადების პარალელურად, უმჯობესი იქნებოდა მშობლებთან შეხვედრის უზრუნველყოფა, სადაც მშობლებს ექნებოდათ საკუთარი პრობლემების გაზიარებისა თუ სხვა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თათია ზარქუამ, განაცხადა, რომ ვებგვერდზე ინფორმაციის დადება იყო მშობლის ინფორმირების ერთ-ერთი და არა ერთადერთი ხერხი, რომლის გამოყენებასაც გეგმავდა დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა 115 ინდივიდუალური მერხი და 6 საკლასო ოთახი. ლაშა მკურნალიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლის განთავსებას გეგმავდა სკოლა ერთ საკლასო ოთახში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ საკლასო ოთახში შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 20 მოსწავლის განთავსება.

საბჭოს წევრი, პავლე თვალთაშვილი, დაინტერესდა პანდუსების კონსტრუქციით და მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ვისი შემუშავებული იყო აღნიშნული კონსტრუქცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პანდუსების კონსტრუქცია შემუშავებული იყო თავად დაწესებულების მიერ, ხოლო პანდუსები კი, დამზადებული იყო

ისეთი მასალისაგან (დაუმუშავებელი ხე), რომელიც არ იძლეოდა ეტლის დაცურების შესაძლებლობას.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ დამატებითი შეკითხვები ექსპერტთან.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ აღარ ჰქონდათ საკითხის ირგვლივ შეკითხვები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 115-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ლოგოსის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლოგოსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ლოგოსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404989704) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით.

შესვენება გამოცხადდა 20:55

საბჭო განახლდა 21:17

4. შპს - ნ&ნ 2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრებმა, ლაშა მკურნალიძემ და პავლე თვალთაშვილმა, ავტორიზაციის მადიებელ დაწესებულებასთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო, განაცხადეს თვითაცილება, ამდენად, საბჭოს დარჩენილმა შემადგენლობამ განაგრძო საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბალანჩივაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, 2013 წლის 22-24 მაისს ექსპერტთა ჯგუფი (ნინო ბალანჩივაძე, მაკა ტუკვაძე, ლეილა გველესიანი) იმყოფებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შპს - ნ&ნ 2000. მისი განმარტებით, სკოლას, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, შეუძლია უზრუნველყოს სკოლის მისიის შესაბამისი საქმიანობის განხორციელება, კერძოდ, იგი მზადაა შექმნას ეროვნულ ფასეულობებსა და ტრადიციებზე დამყარებული შემოქმედებითი და უსაფრთხო გარემო, აღზარდოს შემწყნარებელი, განათლებული, თავისუფალი, ლოგიკური აზროვნების მქონე პიროვნება, რომელიც სკოლაში შეძენილი მაღალი ხარისხის ცოდნითა და უნარ-ჩვევებით შეძლებს გახდეს სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრი და ამავდროულად, მოემზადოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებასაც, კერძოდ, I-IV კლასები მუშაობს გახანგრძლივებული დღის რეჟიმით, რომელიც გრძელდება 18³⁰ სთ-მდე. ამასთანავე, სკოლაში სავალდებულო საგნის პარალელურად ისწავლება დამატებითი გაღრმავებული საგნები: ქართული (I კლასში), უცხო ენა – (ინგლისური ენა II, X, XI, XII კლასებში), მათემატიკა (V-IX -კლასებში).

სკოლაში სამივე საფეხურის სასწავლო კვირა ხუთდღიანია. დასაშვებია 6-დღიანი სწავლებაც, თუ სკოლას გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო გაუცდა სასწავლო დღე/დღეები. საფეხურებისა და საგნების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კათედრები: ჰუმანიტარული საგნების კათედრა (ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა, სამოქალაქო განათლება), ზუსტი და საბუნებისმეტყველო კათედრა

(მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა), უცხო ენების კათედრა (ინგლისური ენა, რუსული ენა), ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის კათედრა (ხელოვნება, მუსიკა, სპორტული ცეკვები, თანამედროვე ცეკვები, ქართული ცეკვები, ჭადრაკი, რაგბი).

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, შპს - ნ&ნ 2000 მდებარეობს ქ. რუსთავეში, 21-ე მ/რ-ში. სკოლის შენობის საერთო ფართობი 2516 კვ.მ. აღნიშნული ფართიდან, სკოლას ეკუთვნის 2096.78 კვ.მ. მისი განცხადებით, შენობაში, აგრეთვე, განთავსებულია საბავშვო ბაღი. სკოლა და ბაღი გამიჯნულია ერთმანეთისაგან შიდა ნახაზით.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, კომპიუტერული კლასი 6 კომპიუტერით, ბიბლიოთეკა 1 კომპიუტერით, სასადილო ოთახი, ლაბორატორია - სველი წერტილით და სათავსოებით, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, 2 საპრეზენტაციო ოთახი, დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, ბუღალტერისა და ექიმის ოთახები, 4 სველი წერტილი (ბიჭებისა და გოგონებისათვის, სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის და მასწავლებლებისათვის). სკოლას აქვს საკლასო ოთახებისათვის ფართი, სადაც ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, სკოლა ფლობს 145 ინდივიდუალურ და 10 ორადგილიან მერხს. ამასთანავე, მან განმარტა, რომ ვიზიტის დასრულების შემდგომ, სკოლამ, დამატებით შეიძინა გარკვეული მატერიალური რესურსი და საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა 45 ინდივიდუალური მერხის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მისი განცხადებით, თუ საბჭო მხედველობაში მიიღებდა აღნიშნულ გარემოებას, სკოლას, 2013 წლის 17 ივლისის მონაცემებით ჰქონდა 200 მერხი, 11 კომპიუტერი, 2 ლეპტოპი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს დასკვნიდან გამოეყო ის საკითხები, რაც, მისი აზრით, განასხვავებდა სკოლას სხვა სკოლებისაგან ან წარმოადგენდა პრობლემურ საკითხს.

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, სკოლა, საერთო ჯამში, აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს. მისი განცხადებით, შპს - ნ&ნ 2000-მა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ, სკოლის ვებ გვერდზე განათავსა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, რომელიც ვიზიტის დროს დამუშავების პროცესში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ცირეკიძემ, დააზუსტა, თუ რატომ იყო დასკვნაში, სკოლის ფართის აღნიშვნისას 2 განსხვავებული მონაცემი მითითებული.

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, რადგან შენობაში განთავსებული იყო, როგორც სკოლა, აგრეთვე - ბაღი, დაფიქსირებული იყო დაწესებულების კუთვნილებაში არსებული საერთო ფართი და უშუალოდ სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი (ბაღის გამოკლებით).

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა მერხების საერთო რაოდენობასთან დაკავშირებული მონაცემი.

ექსპერტის განმარტებით, სკოლა ფლობს 145 ინდივიდუალურ და 10 ორადგილიან მერხს. ამასთან, დამატებით, შეისყიდა 45 ინდივიდუალური მერხი. ჯამში, სკოლის მფლობელობაში არის 200 მერხი. ამასთან, დასძინა, რომ ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკის მიხედვით, ორადგილიანი მერხები ითვლებოდა ერთადგილიან მერხებად, შესაბამისად, სკოლის 10 ორადგილიანი მერხი ჩაითვალა, როგორც 10 ერთადგილიანი მერხი.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, დააზუსტა დასკვნის 1.5 პუნქტის აღწერილობა რატომ არ დასტურდებოდა შესაბამისი ელექტრონული ჟურნალის წარმოებით. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს ელექტრონული ჟურნალის დამუშავება მიმდინარეობდა და რადგან არ ჰქონდა დასრულებული სახე, ამ მიზეზით არ მოხდა დადასტურების ნაწილში მისი ასახვა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა სკოლას არჩევითი საგნები შეთავაზებული მოსწავლეებისათვის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში ისწავლებოდა არჩევითი საგნები, მაგალითად, როგორიცაა ეკონომიკა, გეოგრაფიული კვლევა და სხვ.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, დააზუსტა დასკვნის 1.6 პუნქტში რა სახის დოკუმენტებზე იყო საუბარი.

ნინო ბალანჩივაძის განმარტებით, სკოლაში იყო ურთიერთდასწრების ანგარიშები, კითხვარები, შეფასების კრიტერიუმები გაწერილი იყო რუბრიკების მიხედვით. კითხვარების საფუძველზე ჩატარებული იყო ანალიზი, გამოვლენილი იყო ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლების საფუძველზეც გაწერილი იყო მოდიფიცირებული გეგმის შედგენის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ცირეკიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ 70 კვ.მ. დარბაზის პირობებში რაგბის გაკვეთილების ჩატარება წარმოუდგენელი იქნებოდა.

ნინო ბალანჩივაძის განმარტებით, სკოლაში ჭადრაკისა და სპორტული ცეკვების სწავლებისათვის გამოიყენებოდა ზემოაღნიშნული დარბაზი, ხოლო რადგან მესამე სპორტის სახეობა აუცილებელი იყო, ამიტომ დაწესებულებამ, ექსპერტთა ვიზიტის დროს, გააფორმა მემორანდუმი „რაგბის განვითარების კავშირთან“ სტადიონის გამოყენების თაობაზე და შეადგინა ცხრილი რაგბის გაკვეთილების ჩასატარებლად. მისი განცხადებით, სკოლიდან დაახლოებით 100 მეტრში იყო „რაგბის განვითარების კავშირი“, რომლის ტერიტორიაზე იყო სტადიონი, სადაც ჩატარდებოდა გაკვეთილები.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ფედერაციის ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა სკოლის პედაგოგი, რომელიც ჩაატარებდა გაკვეთილებს. ამასთან, მან განაცხადა, რომ თუკი სკოლა ფუნქციონირებას დაიწყებდა, მოხდებოდა მოსწავლეების გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების დაქირავებაც.

თამარ ბრეგვაძემ დააზუსტა, ნეთბუკები ეთვლებოდა თუ არა სკოლას კომპიუტერების რაოდენობაში.

ნინო ბალანჩივაძემ განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა კომპიუტერული კლასი, ხოლო ნეთბუკები გამოყენება შეიძლებოდა დაწყებითი კლასის გაკვეთილებზე. მისი განმარტებით, ნეთბუკები სკოლას კომპიუტერების საერთო რაოდენობაში არ ეთვლებოდა.

საბჭოს წევრის, პავლე თვალაიშვილის, განცხადებით, ზოგჯერ ნეთბუკი ბევრად უკეთ მუშაობს, ვიდრე კომპიუტერი. ამდენად, სასურველი იყო სპეციფიკაციების მოთხოვნა კონკრეტული ყოფილიყო.

თამარ ცირეკიძის განცხადებით, კომპიუტერების სპეციფიკაციების მითითების მოთხოვნა სტანდარტში არსებობს. თუმცა, რა სახის სპეციფიკაციებია დამაკმაყოფილებელი და რა არა, ავტორიზაციის სტანდარტი ამ ეტაპისათვის მსგავს მოთხოვნებს არ აწესებს.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, დააზუსტა თუ რამდენი კვ.მ. იყო ბიბლიოთეკის საერთო ფართი, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბიბლიოთეკის ოთახი დაახლოებით 45 კვ.მ. იყო. სკოლის დირექტორის, ელზა

ლეკვეიშვილის, განცხადებით, სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ ოთახში იყო და დაახლოებით 12 ბავშვის ერთდროულად მოთავსება იყო შესაძლებელი ბიბლიოთეკაში.

საბჭოს წევრმა, მაია მაღლაკელიძემ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რა პროგრამით მუშაობდა ბიბლიოთეკარი და კატალოგი როგორ იყო შედგენილი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სპეციალური პროგრამა არ ჰქონდა სკოლას, ხოლო კატალოგი ექსელის დოკუმენტში იყო შედგენილი და ატვირთული ვებ გვერდზე.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს, შენობაში რა ადგილზე იყო პანდუსები, ხოლო როგორ იყო მოწყობილი სპეციალური ოთახი.

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, სკოლის შესასვლელში და პირველ სართულზე იყო პანდუსები, ხოლო სპეციალური ოთახი, ძირითადად, სამედიცინო ოთახის ფუნქციით იყო დატვირთული.

ელზა ლეკვეიშვილის განცხადებით, სკოლაში ყველა საჭირო ოთახი პირველ სართულზე იყო მოწყობილი, ამდენად, მეორე სართულზე ასასვლელად სკოლა პანდუსს არ იყენებდა.

ნატო ქობულაძის განცხადებით, სსსმ მოსწავლეებისათვის სპეციალური ოთახის არსებობა სამედიცინო ოთახის ფუნქციების გარდა სხვა დატვირთვასაც უნდა გულისხმობდეს.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა, დააზუსტა შენობაში არსებული გათბობის სისტემა რაიმე საფრთხის მატარებელი ხომ არ იყო.

ექსპერტის, ნინო ბალანჩივაძის, განცხადებით, სკოლაში იყო ე.წ. „კარმის“ ტიპის გამათბობლები, რომლებიც საფრთხის შემცველ გათბობის საშუალებად არ მიიჩნეოდა, ხოლო მიუხედავად ამისა, სკოლა გეგმავდა ცენტრალური გათბობის დამონტაჟებას.

თამარ ცირეკიძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დასკვნის 3.3 პუნქტში დაფიქსირებულ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორი წესი ჰქონდათ შემუშავებული დავის წარმოშობის გადასაწყვეტად.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულს აწესრიგებდა შინაგანაწესი. სპეციალური წესი არ არსებობდა, მხოლოდ შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, დათხოვნა, როგორც პასუხისმგებლობის ფორმები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ნ&ნ 2000-ის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნ&ნ 2000-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ნ&ნ 2000-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216373797) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

5. შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ, ავტორიზაციის მამიებელ დაწესებულებასთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო, განაცხადა თვითაცილება, ამდენად, საბჭოს დარჩენილმა შემადგენლობამ განაგრძო საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ სარგებლობს მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა, მარიამ ხუციშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ წარმოადგინა 2013-2014 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია პედსაბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია და იგი მოიცავს ყველა იმ შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ითვალისწინებს ე.ს.გ-ის 11 მუხლის 5 პუნქტი. სკოლა სპორტის სახეობებიდან მოსწავლეებს სთავაზობს - ქართული ჭიდაობას (ხრიდოლს), სპორტულ ცეკვებს, ჭადრაკს. სკოლაში სავალდებულო საგნის პარალელურად ისწავლება დამატებითი გაღრმავებული საგანები: უცხო ენა – (ინგლისური ენა I-XII კლასებში); მოძღვრის საათი – (Iკლასიდან); რუსული- (IVკლასიდან); დამატებითი საათები ეთნობა სააბიტურიენტო საგნებს (XII კლასში).

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულება განთავსებულია ქ. თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №23-ში. სკოლაში არის: 12 საკლასო ოთახი. ორი ოთახი არის არასტანდარტული, სადაც მხოლოდ 4 და 5 მერხია განთავსებული. სკოლას აქვს 149 ინდივიდუალური და 11 ორადგილიანი მერხი, 9 კომპიუტერი (6 კომპიუტერი კომპიუტერულ კაბინეტში, 1ბიბლიოთეკაში და 2 ადმინისტრაციაში), 2 ლეპტოპი, 2 პრინტერი, 15 სასკოლო დაფა და სხვადასხვა საგნობრივი თვალსაჩინოება.

2.2 სკოლას აქვს 3 ცეცხლმაქრი, ევაკუაციის გეგმა გამოკრულია ყველა ფლიგელში, ევაკუაციის გეგმის დამზადების თაობაზე დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. სამასწავლებლოში არის სამედიცინო ყუთი, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ინვენტარით, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შემუშავებულია პედაგოგთა

მორიგეობის გრაფიკი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამონტაჟებულია 1 გარე და 3 შიდა კამერა. გარე კამერის სტანდარტთან შესაბამისობა ვერ დგინდება.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა უსაფრთხოების კამერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე წარმოადგინა საევაკუაციო გეგმანახაზის დამზადების თაობაზე ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულება. დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების საფუძველზე მარიამ ხუციშვილმა დაადასტურა, რომ აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა.

მარიამ ხუციშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკარი იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, თუმცა მას საბიბლიოთეკო მენეჯმენტში ჰქონდა შესაბამისი სერტიფიკატი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მე-4 კურსელის დასაქმება მართალია წინააღმდეგობაში არ მოდიოდა შრომის კანონმდებლობასთან, თუმცა არსებობდა იმის მაღალი ალბათობა, რომ დასაქმებულს ხელი შეეშლებოდა სწავლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების დირექტორის 2013 წლის 20 მაისის №20 ბრძანებით საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე დანიშნეს მეორე ბიბლიოთეკარიც. შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი პავლე თვალთაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გენერატორი და რა სიმძლავრისა იყო იგი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას ჰქონდა გენერატორი, თუმცა მისი სიმძლავრე შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის წარმომადგენელს ზუსტად არ ახსოვდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ლაბორატორია. მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა რამდენად იყო ინტეგრირებული მოძღვრის საათი სასკოლო სასწავლო გეგმაში და როგორც უწყობდა იგი ხელს მოსწავლეთა აზროვნების უნარის განვითარებას. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს მოსწავლის მორალურად ზნეობრივ ადამიანად ჩამოყალიბებას. მოძღვარი დაწესებულებაში შეასრულებს ფსიქოლოგის ფუნქციებს და მოსწავლეებს ჩაუტარებს დიდაქტიკურ საუბრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 160-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრს, მარიამ ხუციშვილს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. მარიამ ხუციშვილი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 160 მოსწავლისთვის.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 406086257) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

6. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნელი ნასყიდაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე:

2013 წლის 8 და 9 ივლისს, ქუთაისში განხორციელდა ვიზიტი შპს „ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლაში“. ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, ამ პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსი და შეფასდა სამივე სტანდარტის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

საგანმანათლებლო პროგრამების და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან მიმართებაში შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს „ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლას“ განცხადება ჰქონდა შეტანილი ქვეიჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაციის მოთხოვნით უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში, რომლის ამონაწერის მოპოვებაც ვიზიტის დროს ვერ მოხერდა.

1.2 დაწესებულება სარგებლობს ქუთაისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.kneuedu.com განთავსებული ფანჯრით: კერძო სკოლა, რომელზედაც განთავსებულია მისია, შინაგანაწესი, განცხადება, ორი ბრძანება და დაწესებულების 2013-2014 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფართთან დაკავშირებით, მათ ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდათ ამონაწერი საპჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც სკოლას შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან დადებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება (საგანი: 406.26 კვ.მ; ს/კ: 03.03.01.452.01.537). დაწესებულებას შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან ასევე გაფორმებული ჰქონდა ქვეიჯარის ხელშეკრულებაც (საგანი: 334.54 კვ.მ; ს/კ: 03.03.01.452.01.536). ნელი ნასყიდაშვილმა

დაადასტურა, რომ მოცემული ხარვეზი შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლას გამოსწორებული ჰქონდა. ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ხელშეკრულებების რეგისტრაციის თაობაზე 2013 წლის 4 ივლისს ჰქონდა შეტანილი განცხადებები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ სკოლის მოსწავლეებს ესარგებლათ სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით. ნელი ნასყიდაშვილმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში იყო კომპიუტერებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა, როგორ იქნებოდა საათები გადანაწილებული სტუდენტებსა და მოსწავლეებს შორის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტი იყო ლიცენზირებულ რეჟიმში მყოფი დაწესებულება და შესაბამისად, მიღევად რეჟიმში ახორციელებდა პროგრამებს. სასწავლო უნივერსიტეტი განთავსებული იყო შენობის მე-3 სართულზე და ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი. სკოლა განთავსებული იყო მე-4 სართულზე. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, იგი მდებარეობდა შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელი იყო, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შეძლებდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი შენობაში დამონტაჟებულ ლიფტამდე დაუბრკოლებლად მისვლას. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსსმ მოსწავლე დამოუკიდებლად, დაბრკოლებების გარეშე შეძლებდა ლიფტამდე მისვლას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ შენობაში დამონტაჟებული ლიფტი იყო დიდი ზომის და შესაძლებელი იყო სსსმ მოსწავლეს თავისუფლად ესარგებლა მისით. ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, ლიფტი მუშაობდა გამართულად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში, სკოლა დამატებით აიყვანდა კიდევ ერთ ტექნიკურ პერსონალს, რომელიც სსსმ მოსწავლეს დაეხმარებოდა გადაადგილებაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლაშა მკურნალიძემ დაზუსტების მიზნით კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ თუკი ქვეიჯარისა და იჯარის ხელშეკრულებებით შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლას უდასტურდებოდა მე-4 სართულზე არსებული ფართი, მაშინ როგორ სარგებლობდა დაწესებულება მე-2 სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკით. ლაშა მკურნალიძის მოსაზრებით, ბიბლიოთეკა მდებარეობდა არა სკოლის, არამედ შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტის ფართზე. ნელი ნასყიდაშვილის მოსაზრებით, მოსწავლეებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ ესარგებლათ აღნიშნული ბიბლიოთეკით. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლასა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ავტორიზაციის ექსპერტებმა შეამოწმეს ადგილზე. მოცემული დოკუმენტით სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ უფლება ესარგებლათ მე-2 სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკით. სკოლას ასევე დადებული ჰქონდა ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მომსახურებას გაუწევდა სკოლის მოსწავლეებს. ლაშა მკურნალიძემ განმარტა, რომ მისი აზრით, მიღევად რეჟიმში ფუნქციონირებად დაწესებულებას სულ რომ შეეწყვიტა საქმიანობა, სკოლა რჩებოდა

ბიბლიოთეკის გარეშე. შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დამოუკიდებელი წიგნადი ფონდი, შესაბამისად, მოსწავლეები ნებისმიერ გარემოებაში შეძლებდნენ ბიბლიოთეკით სარგებლობას. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში თუკი სასწავლო უნივერსიტეტი შეწყვეტდა ფუნქციონირებას თავისთავად აღარ იარსებებდა მე-2 სართულზე არსებული ბიბლიოთეკაც, რადგანაც იგი იყო სასწავლო უნივერსიტეტის სარგებლობაში. შესაბამისად, სკოლას რჩებოდა ბიბლიოთეკის გარეშე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ავტორიზაციის სტანდარტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტსა და სკოლას ჰყავდათ ერთი დამფუძნებელი, ამიტომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლის მოსწავლეებს ბიბლიოთეკით სარგებლობის პრობლემა არ შეექმნებოდათ. ლაშა მკურნალიძის მოსაზრებით აღნიშნული არგუმენტი არ იყო სამართლებრივად სწორი, რადგან სახეზე იყო 2 სხვადასხვა სუბიექტი და სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელი რესურსები.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ იმ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ინსტიტუციური აკრედიტაცია მიეცათ უფლება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე განეხორციელებინათ საგანმანათლებლო საქმიანობა. ამასთან, დაუშვებლად გამოცხადდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება 2010 წლის 1 სექტემბრის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დაწესებულებების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ნანა ჭილაძის განმარტებით, საჭირო იყო სკოლისა და მიღევად რეჟიმში ფუნქციონირებადი დაწესებულების რესურსების გამოიყენა.

ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის თაობაზე დაწესებულებებს შორის არსებობდა ხელშეკრულება. ლაშა მკურნალიძემ განმარტა, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებით დეტალურად უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობები. ამასთან, მისი აზრით, შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტს, რომ დაერღვია ხელშეკრულების პირობები, სკოლა რჩებოდა ბიბლიოთეკის გარეშე. ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ავტორიზაციის მამიებელს ჰქონდა დამოუკიდებელი წიგნადი ფონდი და ჰყავდა საკუთარი ბიბლიოთეკარი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის საკუთრებაში ფიქსირდებოდა 3000-მდე წიგნი. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ნელი ნასყიდაშვილმაც და აღნიშნა, რომ დაწესებულების წიგნადი ფონდი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. ავტორიზაციის საბჭოს წევრი ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა აღრიცხული იყო თუ არა წიგნადი ფონდი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის წიგნადი ფონდი იყო აღრიცხული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ დაწესებულებას ბიბლიოთეკა განეთავსებინა შენობის მე-4 სართულზე ისე, რომ არც სასწავლო პროცესს და არც ადმინისტრაციას არ შეჰქმნოდა პრობლემები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის ბიბლიოთეკის მე-4 სართულზე განთავსება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა, იყო თუ არა ბიბლიოთეკაში განთავსებული სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერები.

ლამა მკურნალიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკუთარი ვებგვერდი. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა პავლე თვალაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში არსებული ლინკი შედიოდა სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სადაც მოცემული ბანერი სკოლის ინფორმაციის შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას საკუთარი ვებგვერდი არ ჰქონდა. ლამა მკურნალიძე დაინტერესდა, რაიმე სახის შეთანხმება ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას გაფორმებული ვებგვერდის დამზადების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი შეთანხმება არ არსებობდა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი პავლე თვალაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას სამოქმედო გეგმაში ასახული საკუთარი ვებგვერდის შექმნა. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ საკუთარი ვებგვერდის ამუშავებაზე საუბარი იყო დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტების მიზნით, კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა გეოგრაფიული კვლევა, კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები და ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია. თამარ ცირეკიძის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული დისციპლინები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ისწავლებოდა 5 სემესტრის განმავლობაში.

ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული საგნები 5 სემესტრზე იყო გათვლილი. 2 სემესტრიანი გეოგრაფიული კვლევა გადანაწილებული იყო 3 სემესტრზე და შესაბამისად გამოდიოდა 5 სემესტრი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას აქცენტი ჰქონდა გაკეთებული გეოგრაფიულ კვლევაზე. თუკი დაწესებულებაში სხვა სკოლიდან გადმოვიდოდა მოსწავლე, მაშინ დაწესებულებას მას შესთავაზებდა სხვა ალტერნატიულ არჩევით საგნებს. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საგნების არჩევითობის პრინციპი მთლიანად იყო დაცული. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტის დროს გაესაუბრნენ გეოგრაფიული კვლევების მასწავლებელს, რომელმაც ჯგუფის წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, აღნიშნული საგანის გადანაწილებული იყო 3 სემესტრზე. ამასთან, ლიანა ჩარკვიანმა განმარტა, რომ სასწავლო ცხრილის მიხედვით, დაწესებულება ალტერნატივის სახით სხვა საგნებსაც სთავაზობდა მოსწავლეებს, რომ მოცემული საგნები ისწავლებოდა 4 სემესტრის განმავლობაში. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ გეოგრაფიული კვლევა ნაცვლად 2 სემესტრისა, ისწავლებოდა 3 სემესტრის განმავლობაში და შესაბამისად ჯამში არჩევითი საგნები სასკოლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა 5 სემესტრის განმავლობაში.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ზვიად მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, საბჭოს უნდა ემსჯელა დაწესებულების ბიბლიოთეკასა და ვებგვერდთან დაკავშირებულ საკითხებზე. ლამა მკურნალიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, ბიბლიოთეკისა და ვებგვერდის არსებობა წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნას. ნელი ნასყიდაშვილმა განმარტა, რომ საკუთარი ვებგვერდის შექმნა შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლას ასახული ჰქონდა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადებში დაწესებულებას უნდა შეექმნა საკუთარი ვებგვერდი და გაემიჯნა სკოლის ბიბლიოთეკა ლიცენზირებულ რეჟიმში ფუნქციონირებადი სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისგან. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ შპს -

ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში გადაემოწმებინა დაწესებულების პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ლაშა მკურნალიძემ დააზუსტა, რომ გადამოწმების შედეგად უნდა დადგენილიყო სკოლის ბიბლიოთეკისა და ვებგვერდის შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებთან. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითო კლასში ისწავლიდა დაახლოებით 20 მოსწავლე. როდესაც მოხდებოდა ბიბლიოთეკის მე-4 სართულზე განთავსება, საკლასო ოთახების რაოდენობა დარჩებოდა 11. შესაბამისად, 200 მოსწავლის განთავსება სკოლისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.

თავმჯდომარემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნელი ნასყიდაშვილს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ნელი ნასყიდაშვილი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 მოსწავლისთვის.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კერძო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 412691626) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

შენიშვნა: შპს - ქუთაისის ეროვნულ სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კერძო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: მაია მაღლაკელიძემ და პავლე თვალაშვილმა.

საბჭოს სხდომაზე 22:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 23:15 საათზე

7. შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, დავით ლიპარტელიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარკვეული ხარვეზები გამოსწორდა.

დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სკოლის ადმინისტრაციამ, ვიზიტის დროს, მონიტორინგის ჯგუფს წარმოუდგინა 2012-2013 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელსაც არ ჰქონდა განხილვისა და დამტკიცების არანაირი რეკვიზიტი. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება სკოლის მისიის, სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპების, საგანმანათლებლო რესურსების, სასკოლო სასწავლო გეგმის, მოსწავლის შეფასების სისტემის, საგნების მიხედვით შედგენილი შეფასების ზოგადი რუბრიკების, ინკლუზიური განათლების, ძირითადი მეთოდური ორიენტირების, სავალდებულო და არჩევითი საგნების, VI-XII კლასებში დამატებითი საათების ხარჯზე სასწავლო საგნების, პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების, საათობრივი ბადის სემესტრების მიხედვით და გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალისგან. სასკოლო სასწავლო გეგმა არ მოცავს დაზუსტებულ სადამრიგებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების აღწერას: შინაარს, მიზნებს, შეფასებასა და რესურსებს.

წარმოდგენილი დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში ვკითხულობთ: "5. გაკვეთილებს შორის მინიმუმ ერთი შესვენების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ 5 წუთით. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით". ეროვნული სასწავლო გეგმის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის პუნქტის მიხედვით გაკვეთილებს შორის მინიმუმ ერთი შესვენების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ 15 წუთით. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით; მე-4 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ეხება სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობას ვკითხულობთ: "... ვაუჩერით დაფინანსებულ საჯარო კლასში განსაზღვრულია 40 მოსწავლით." ეროვნული სასწავლო გეგმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 30 მოსწავლით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობის განმსაზღვრელი წესი ეხება 2005-2006 სასწავლო

წელს სკოლაში პირველ კლასში შესულ მოსწავლეებს და ყოველ შემდგომ თაობას. სკოლის VIII კლასის ჟურნალის მიხედვით სკოლას სასწავლო წელი დაწყებული აქვს 38 მოსწავლით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას კი კლასში ირიცხებოდა 34 მოსწავლე.

სასკოლო სასწავლო გეგმის მე-17 მუხლის მიხედვით არ ირკვევა მოსწავლე რა ფორმით ფასდება საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების საგანში „ზოგადი უნარები“. აღნიშნულ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული „ეროვნული სასწავლო გეგმის დამრტკიცების შესახებ 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 11 ოქტომბრის N224/ნ ბრძანება.

ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას აქვს 23 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის დაფებით, 458 ერთადგილიანი და 38 ორადგილიანი მერხითა და შესაბამისი რაოდენობის სკამებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, მფლობელობაში უდასტურდება 22 ორადგილიანი და 168 ერთადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამით.

დაწესებულებას მფლობელობაში არ უდასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის ნაწილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შ.პ.ს. „მჭევრი“-ის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის გენერალური მენეჯერის 2012 წლის 20 ნოემბრის ბრძანება შ.პ.ს. „მჭევრი“-ის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ, ყოფილი 111-ე საჯარო სკოლის შენობის მატერიალური ბაზის აღწერის შედეგად შედგენილი აქტი და 2012 წლის ძირითადი საშუალებების შედარების უწყისი. ასევე ყოფილი 111-ე საჯარო სკოლის ბალანსზე არსებული ინვენტარის მფლობელობაში დადგენის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისთვის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთვის მიწერილი წერილები ყოფილ 111-ე საჯარო სკოლაზე რიცხული მატერიალური ფასეულობების შესახებ.

დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სკოლაში საკლასო ჟურნალების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პირველი სემესტრის განმავლობაში შეტანილი ინფორმაცია, რა დროსაც დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები:

კლასი VI^ა

- ჟურნალის მეოთხე გვერდზე არ არის შევსებული მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი. მესამე გვერდზე საგანთა და სახელმძღვანელოთა ჩამონათვალის ცხრილში არ არის შევსებული „სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი/ავტორები, გამომცემლობის დასახელება“, „პედაგოგი (სახელი, გვარი)“, „კვირეული საათების რაოდენობა“;
- არ არის შევსებული ჟურნალის მეორე გვერდზე „პირადი საქმი №“ გრაფა;
- პირველი უცხოური ენის - ინგლისურის მასწავლებელს თამარ ნიკოლეიშვილს საგნის სწავლების პირველ სემესტრში არ აქვს ჩატარებული სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მასწავლებელს უნდა ჩატარებინა 4 შემაჯამებელი დავალება, ჩატარებული აქვს 2;
- არასწორადაა შეტანილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის „ჩვენი საქართველოს დასახელება“;

- ანალოგიური შეცდომაა „ბუნებისმეტყველებაზე“, „ისტ-სა“ და „სახვით და გამოყენებით ხელოვნებაზე“;

კლასი VIII:

- მათემატიკის მასწავლებელ მანანა ბალანჩივამეს განსაზღვრული 4 შემაჯამებლის მაგივრად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი დავალება; მოსწავლეებს თინაშვილ ანას, ლონდარიძე სერგოს, ტურაშვილ მარიამს, შეყრილაძე გურამს არ აქვთ შესრულებული პირველი შემაჯამებელი და არც აღდგენები აქვთ გაკეთებული;
- რუსული ენის მასწავლებელ ლოლიტა გაგუას განსაზღვრული 2 შემაჯამებლის მაგივრად შესრულებული აქვს მხოლოდ 1 შემაჯამებელი დავალება;
- ფიზიკის მასწავლებელს ტატიანა კაზიევას არ აქვს შესრულებული არცერთი შემაჯამებელი, უნდა დაეწერა 2 შემაჯამებელი.

კლასი XII:

- მათემატიკის მასწავლებელ ნუგზარ ხუციშვილს გათვალისწინებული 4 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 3 შემაჯამებელი, არ აქვს დაშტირხვები გაკეთებული;
- პირველი უცხოური ენა - ინგლისურის მასწავლებელ დოდო მაისურაძეს გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის ნაცვლად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- ისტორიის მასწავლებელ ლერი ლევძემეს შესრულებული არ აქვს შემაჯამებელი დავალებები - გათვალისწინებულია 1 შემაჯამებელი.

კლასი X:

- არ არის შევსებული მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი;
- არ არის შევსებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- ქართული ენისა და ლიტერატურის გვერდებზე არ წერია უმეტეს შემთხვევაში საგნის დასახელება და მასწავლებლის სახელი და გვარი;
- ინგლისური ენის მასწავლებელს მელაძე თინათინს გათვალისწინებული 3 შემაჯამებლის მაგივრად ჩატარებული აქვს 2 შემაჯამებელი;
- საგანში სამოქალაქო განათლების მასწავლებელ მაია გლოველს არ აქვს ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები, უნდა ჩატარებინა 2 შემაჯამებელი დავალება;
- ისტორიის მასწავლებელს ლერი ლევძემეს არ აქვს ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები, უნდა ჩატარებინა 2 შემაჯამებელი დავალება;
- ფიზიკის მასწავლებელ რევაზ მამაცაშვილს არ აქვს შესრულებული შემაჯამებელი დავალებები - უნდა ჩატარებინა 2 შემაჯამებელი დავალება.

დაწესებულებას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №101 გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 206 მოსწავლით. დაწესებულებას მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ერიცხებოდა 561 მოსწავლე.

სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა 2012 წლის 16 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „მჭევრის დამოუკიდებელმა ბიზნეს სკოლამ“ საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტროსგან პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 მაისის N01/05/12 განკარგულების საფუძველზე საკუთრებაში მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში შირაქის ქუჩის N20-ში მდებარე, 1867 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის (მხარეთა უფლება-მოვალეობები) 3.1.2 პუნქტის მიხედვით „მყიდველი“ იღებს ვალდებულებას „უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გადაცემული ქონების საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 წლის განმავლობაში“. 3.1.4.- ს მიხედვით „ამ ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის უზრუნველყოს უსასყიდლოდ სწავლა (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა).“

დაწესებულების დირექტორის განმარტებით აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს მომართა წერილით ფართის შეძენისა და მისამართის შეცვლის შესახებ, სადაც მოითხოვდა, რომ ზემოაღნიშნული გათვალისწინებული ყოფილიყო მონაცემთა ბაზაში. თუმცა კონტიგენტის გაზრდის შესახებ სხვა აქტივობა არ განხორციელებულა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული ხარვეზი გამოწვეული იყო ერთი მიზეზით, საჯარო სკოლის ქონების ოფიციალურად გადმოუცემლობით.

მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტის, მიშა ტეფნაძის, განცხადებით, დაწესებულებას სასწავლო გეგმაში არ ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის ოქტომბრის N224 ბრძანება. სკოლის მიერ, მონიტორინგის ვიზიტის დასრულების შემდგომ მოხდა სასწავლო გეგმაში, აღნიშნული ბრძანების გათვალისწინებით ცვლილებების შეტანა, ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ხარვეზი დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადება, აღნიშნული ბრძანება არ იყო გახდა ხელმისაწვდომი მათთვის, რესურს ცენტრსაც არ ჰქონდა მიწოდებული, ამდენად, აღნიშნული გაუგებრობა ამ მიზეზით იყო განპირობებული.

საბჭოს წევრის, ლაშა მკურნალიძის, განცხადებით პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით დაწესებულებებმა თავად თალყური უნდა ადევნონ საკანონმდებლო ცვლილებებს. მისი განცხადებით, მისასალმებელია, რომ ხარვეზი გამოსწორებული იქნა, თუმცა სხვა შემთხვევაში, არგუმენტი, კანონის არ ცოდნის ან არასწორი გაგების შესახებ, ვერ იქნებოდა საფუძვლიანი, რადგან მსგავის შემთხვევები არ გაათავისუფლებდა მათ პასუხისმგებლობისაგან.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მათ საჯარო სკოლის შენობა შეიძნეს 2012 წლის 16 მაისს. მისი განმარტებით, აღნიშნულ ქმედებას უნდა მოჰყოლოდა რესურსცენტრის თანამშრომლების ვიზიტი, რომლებსაც უნდა აღეწერათ ინვენტარი. ამის შემდგომ, ინფორმაცია უნდა გადაცემოდა სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის, ხოლო შემდეგ - ქონების მართვის სააგენტოს. საბოლოოდ შესაბამისი ბრძანებით უნდა გადმოცემოდა სკოლას ქონება. მისი განცხადებით, მათ მიერ ეს ღონისძიებები და მსგავს სიტუაციაში კიდევ 13 სკოლა იმყოფებოდა.

მისი განმარტებით, სკოლამ მიმართა რესურსცენტრს, სამინისტროს და საბჭოს წარუდგინა შუალედური წერილი იმის თაობაზე, რომ პროცესი დაწყებული იყო.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, რადგან სკოლამ დროულად მიმართა სახელმწიფო სტრუქტურებს და ოფიციალური წერილი არსებობს, რომ ქონების გადაცემის პროცესი დაწყებულია, უნდა ივარაუდოს საბჭომ, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.

საკლასო ჟურნალებთან დაკავშირებით, მიშა ტეფნაძემ განაცხადა, რომ მონიტორინგის დროს ყველა სკოლაში ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საკლასო ჟურნალების წარმოების წესის შემოწმება. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტს წარმოადგენდა, რადგან მის საფუძველზე ხდებოდა ატესტატების გაცემა.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, საჯარო სკოლებს შიდა აუდიტი ამ კუთხითაც ამოწმებდა.

გადაჭარბებულ კონტინგენტთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საჯარო სკოლის შეძენის ხელშეკრულებით, მათ დაეკისრათ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის უფასო სწავლების ვალდებულება. ამასთან, მათ ცენტრს ვერ მომართეს კონტინგენტის გაზრდის თაობაზე, რადგან ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია არ ჰქონდათ გადმოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ რესურსცენტრის წერილის (N294609) შინაარსი საბჭოს გააცნო, საიდანაც ირკვეოდა, რომ ქონების გადაცემის პროცესი დაწყებული იყო.

დირექტორის განცხადებით, სკოლაში იმ ეტაპისათვის 554 მოსწავლე სწავლობდა, ასწავლიდა - 54 მასწავლებელი. სკოლას გააჩნდა 700 მერხი და 2100 კვ.მ. ფართი.

ლაშა მკურნალიძის განცხადებით, საკმაოდ კაზუსურ სიტუაციასთან ჰქონდა საბჭოს საქმე. დარღვეული იყო ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ამასთან აღნიშნული დარღვევის საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დაკისრება. მისი განცხადებით, საბჭოს შეეძლო ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადის მიცემა ან ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის 15 დღით გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში (საიდენტიფიკაციო კოდი: 208142339) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

23 საათსა და 55 წუთზე, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის მომდევნო დღეს 2013 წლის 18 ივლისს გაგრძელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

8. შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა პავლე თვალთაშვილმა განახორციელა თვითაცხილება, დაწესებულებათა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო და დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმომადგენა. დავით ბაბულებიშვილი, შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს წარმომადგენელმა წარმოადგინა დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა. მინდობილობა და დავით ბაბულებიშვილის პირადობის ასლი დაერთო სხდომის ოქმს.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, დავით ლიპარტელიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარკვეული ხარვეზები გამოსწორდა.

დავით ლიპარტელიანის განცხადებით, შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ში ირიცხებოდა 423 მოსწავლე, მათ შორის, ერთი სსსმ მოსწავლე. ამასთან, სკოლაში იყო 54 პედაგოგი, მათ შორის 7 - სერტიფიცირებული. მისი განცხადებით, სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 სექტემბრის N310 გადაწყვეტილებით, ხოლო 2012 წლის 7 ივნისის N181 გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 460 - ით.

ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოდგინა 2012-2013 წლის სასწავლო გეგმა. სკოლის სასწავლო გეგმის შემუშავების წესის მიხედვით-სასკოლო სასწავლო გეგმას „დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავენ პედაგოგიური საბჭო, სამუშაო ჯგუფთან ერთად, რომელიც მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე“. პედაგოგიური საბჭოს ოქმების გადამოწმების შედეგად აღნიშნული ფაქტი ოქმებში არ არის აღნიშნული, ჩანაწერი სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ ასევე ვერ მოიძებნა დირექტორის ბრძანებების წიგნში.

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: სკოლის მისია, სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები, მოსწავლის შეფასების სისტემა, საგნების მიხედვით შედგენილი შეფასების ზოგადი რუბრიკები, ინკლუზიური განათლების ზოგადი ჩარჩო, სავალდებულო და არჩევითი საგნები, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი, საათობრივი ბადა სემესტრების მიხედვით გაწერილი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და სასწავლო პროცესისთვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, 2012-2013 სასწავლო წლის განრიგი, სადამრიგებლო პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომში გაუმჯობესების გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

საშუალო საფეხურზე სკოლას არჩევით საგნებად არჩეული აქვს მოქალაქეობა (X-XI კლასებში) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიულ-პრაქტიკული კურსი (X-XII კლასებში) კვირაში ერთსაათიანი დატვირთვით.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის არჩევით საგნების ჩამონათვალი 2012 წლის 20 აგვისტოს N163 ბრძანების შემდგომ საგანი მოქალაქეობა აღარ არის არჩევითი საგნების ჩამონათვალი. აღსანიშნავია ისიც, რომ საგანი მოქალაქეობა, რომელიც გაწერილია 2012-2013 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ისწავლება X-XI კლასებში, რაც 2012-2013 სასწავლო წლის X-XI კლასების საკლასო ჟურნალების ნახვის შედეგად დადგინდა. ასევე ადგილზე ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საგნის პროგრამა. ამ ყოველივედან გამომდინარე სკოლას მე-11 კლასში გავლილი აქვს არჩევით საგნის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიულ-პრაქტიკული კურსის ორი სემესტრი. ეროვნული სასწავლო გეგმის 46 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით X-XII კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს არჩევითი საგნები 5 სემესტრის განმავლობაში.

მე-12 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნად არჩეულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიული პრაქტიკული კურსი, კვირაში 1 საათი. აღნიშნული საგანი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით არის ორ სემესტრიანი (ეროვნული სასწავლო გეგმის 46-ე მუხლი, პუნქტი 10. საგნის დასახელება 13), ხოლო სკოლამ აღნიშნული საგანი გაიარა ერთ სემესტრში, კონკრეტულად მე-12 კლასის პირველ სემესტრში.

ეროვნული სასწავლო გეგმის 46-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად მე-12 კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება. აქედან გამომდინარე, სკოლამ მეორე სემესტრში აღარ გააგრძელა აღნიშნული არჩევითი საგანი. ეს საგანი ვერ ჩაითვლება დასრულებულად, ვინაიდან აღნიშნული საგანი არის ორ სემესტრიანი და სკოლას ამ საგნის ორ სემესტრში სწავლება უნდა მოესწრო მე-11 და მე-12 კლასში, მე-12 კლასის მეორე სემესტრამდე. სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა საგნის პროგრამა.

შესაბამისად, მე-12 კლასს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 5 სემესტრის ნაცვლად გავლილი აქვთ არჩევითი საგნის 4 სემესტრი (იმის გათვალისწინებით, რომ მეხუთე საგნად არჩეული საგანი მოდულიდან გამომდინარე არ იქნა 2 სემესტრის განმავლობაში ნასწავლი), რის გამოც ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით საშუალო საფეხური დაძლეულად ვერ ჩაითვლება.

სკოლამ წარმოადგინა საგნების შეფასების რუბრიკების ზოგადი ჩარჩოები.

ეროვნული სასწავლო გეგმის 18-ე მუხლის 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება

სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სავალდებულო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა და შემაჯამებელი დავალებების ვადები და ჩატარების ფორმები არ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ 2012-2013 სასწავლო წლის საკლასო ჟურნალებში საგნების მიხედვით შეტანილია შემაჯამებელი დავალებების ნიშნები.

სკოლას აქვს პანდუსი, მაგრამ არ გააჩნია სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული სველი წერტილი. (ადაპტირებული სველი წერტილის უზრუნველყოფა ხდებოდა ვიზიტის პერიოდში, თუმცა არ იყო დასრულებული).

სკოლის ცენტრალურ შესასვლელში გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 1 უსაფრთხოების კამერა, ასევე სათადარიგო გასასვლელში. აღნიშნული კამერების პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სკოლას გააჩნია ასევე ორი შიდა კამერა, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეო ჩაწერას.

პედაგოგთა პირადი საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სპორტის მასწავლებელს დავით ცერცვამეს არ გააჩნია არანაირი შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია. მასთან 2012 წლის 6 თებერვალს გაფორმებულია ხელშეკრულება N45.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიული-პრაქტიკული კურსი“ მოსწავლეებმა გაიარეს თუ არა მე-11 კლასშიც და მე-12-შიც.

მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა, აღნიშნა, რომ რადგანაც მე-11 კლასში მოსწავლეებმა აღნიშნული საგანი ვერ გაიარეს, ამიტომ საგანი შეთავაზებულ იქნა მხოლოდ მე-12 კლასში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, აღნიშნულის გამო პრობლემა ხომ არ შეექმნათ იმ მოსწავლეებს, ვინც წელს დაამთავრა სკოლა, დაძლიეს თუ არა მათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა.

მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილება ეროვნულ სასწავლო გეგმაში 5 სემესტრის განმავლობაში არჩევითი საგნის სწავლის შესახებ წელს განხორციელდა. დაწესებულების მოსწავლეებმა მე-11 კლასში გაიარეს სხვა არჩევითი საგნები, რის ხარჯზეც მათ მიერ დაკმაყოფილებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.

ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი საათი უტარდებოდათ მოსწავლეებს აღნიშნული საგანი.

მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ ჟურნალების გადამოწმებით დადგინდა, რომ ფაქტობრივად 2 საათი, თუმცა პროგრამაში მითითებული იყო ერთი. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე პროგრამის შინაარსი, საიდანაც ირკვევა, რომ მოსწავლეები შესაბამის შედეგზე გადიოდნენ.

საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი გამოსწორებულია.

მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ფაქტობრივად ჩატარებული ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემაჯამებლები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ამჯერად ცვლილების განხორციელებას აზრი არ ჰქონდა, სასწავლო წლის დასრულების გამო.

საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი გამოსწორებულია.

დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტო მასალა, რაც ადასტურებდა ადაპტირებული სველი წერტილის არსებობას სკოლაში. ასევე წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი

ვიდეოკამერების შეძენასთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილ იქნა ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს კამერების დამონტაჟებას.

საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი გამოსწორებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა დავით ცერცვამის გათავისუფლების ბრძანება და აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი კვალიფიციური მასწავლებლის ასაყვანად.

საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი გამოსწორებულია.

საბჭომ განიხილა შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216305200) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:23 საათზე.

თავმჯდომარე
თამარ ცირეკიძე



მდივანი
ნატო ქობულაძე

